USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №12
სექტემბერი 1 - ოქტომბერი 1, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

მარიამ ლაცაბიძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2020 წლის 3 სექტემბერს პარლამენტმა, 81 ხმით არცერთის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა ცვლილებებს, რომლითაც ამომრჩევლის დაშინების, იძულების და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრა.[1] ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც საარჩევნო ცვლილებების ალტერნატიული წინადადება მოამზადა, სხდომას პროტესტის ნიშნად არ დაესწრო.[2]

პარლამენტის მიერ დამტკიცებული ცვლილების მიხედვით, არჩევნების შედეგებზე არამართლზომიერი ზეგავლენის, ასევე, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის მიზნით ამომრჩევლის დაშინება ან იძულება, მათ შორის, ჩადენილი ძალადობით, მატერიალური ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით.[3]

საია მიესალმება ამომრჩევლის ნების კონტროლზე გავლენის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო რეგულაციების გამკაცრებას, თუმცა მიიჩნევს, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ რეგულაციების ეფექტიანი აღსრულება. იმავდროულად, ორგანიზაციის აზრით, საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებები გონივრულ ვადებში უნდა მტკიცდებოდეს და არა არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე.[4]

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი კვოტირების გაუქმების მოთხოვნაზე

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პარტია „გირჩის“ სარჩელი იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, რომლის საფუძველზეც პარტიულ სიაში ყოველი მეოთხე პირი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.[5] სასამართლომ ქალთა კვოტირება დე-

---

[1] „დეპუტატებმა „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებები 81 ხმით მიიღეს“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 03.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3j3qZqS, განახლებულია: 15.10.2020.

[2] იქვე.

[3] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[4]-ე მუხლი.

[4] „საარჩევნო კანონმდებლობის „ბოლო წუთს“ მიღებით, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას ნდობას პროცესების მიმართ და არ დატოვოს იმის შესაძლებლობა, რომ საარჩევნო პროცესებში ჩართული სუბიექტები და ამომრჩევლები ამ წესებს დროულად გაეცნონ.“ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Guidelines for Reviewing a Legal Framework for Elections, Second Edition, OSCE-ის ვებგვერდი, ვარშავა, 2013, გვ. 11, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iG59ub, განახლებულია: 15.01.2020.

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოკრატიის საფუძვლებთან შესაბამისობის ჭრილში შეაფასა და დაადგინა, რომ „მსგავსი ტიპის შეზღუდვას, მისი შინაარსისა და ბუნების გათვალისწინებით, შემხებლობა არ აქვს ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს პრინციპთან და ხელისუფლების მითვისების დაუშვებლობასთან.“[6] სასამართლომ იმსჯელა ხელოვნურ ბარიერებზე, რომლებიც, საბოლოოდ, ქალებისთვის ქმნის უთანასწორო გარემოს, მათ შორის, პოლიტიკაში მონაწილეობის თვალსაზრისით[7] და კვოტის ლეგიტიმურ მიზნად თანასწორობის მიღწევა მიიჩნია.[8] განიხილა რა ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობა პარლამენტში, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კვოტირება იყო ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მექანიზმი ამ საკითხის (ქალთა წარმომადგენლობის გარანტირება პარლამენტში) გადასაჭრელად.[9] იმავდროულად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საარჩევნო ნორმის ის შინაარსი, რომელიც საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში ერთი მამაკაცის ჩაწერას ითვალისწინებდა.[10]

მოსამართლეებმა ირინე იმერლიშვილმა და თეიმურაზ ტუღუშმა დააფიქსირეს განსხვავებული აზრი და მიიჩნიეს, რომ სასამართლოს სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა სასარჩელო მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად ეცნო სავალდებულო კვოტირების წესი.[11] მათი აზრით, არ შეფასდა სადავო რეგულირების გავლენა ხალხის მიერ თავისუფალი არჩევანის უფლების რეალიზებაზე.[12] მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ მსგავსი შეზღუდვები შეიძლება გამართლდეს მხოლოდ უკიდურესად საგამონაკლისო შემთხვევებში, მყარი კონსტიტუციური მიზნისა და კრიტიკულად აუცილებელი, ვიწროდ მიმართული რეგულირების არსებობისას,[13] რაც ამ შემთხვევაში, მათი აზრით, პარლამენტმა ვერ დაასაბუთა.

განსხვავებული აზრი დააფიქსირა მოსამართლე ევა გოცირიძემაც, რომელმაც მამაკაცთა კვოტირების არაკონსტიტუციურობაზე მსჯელობისას აღნიშნა: „მისი (სადავო ნორმა) მთავარი ღირსება სწორედ ისაა, რომ იგი შინაარსობრივად ნეიტრალურია სქესის ნიშნით, მაგრამ პრაქტიკაში, იგი მაინც იმუშავებდა „დაჩაგრული“ სქესის სასარგებლოდ“,[14] რაც შეესაბამება თანასწორობის პრინციპს.[15] აქედან გამომდინარე, მისი აზრით, სასამართლომ ვიწროდ განმარტა ნორმის ლეგიტიმური მიზანი[16] და ამით შინაარსობრივად ნეიტრალური ნორმა მიკერძოებული გახადა.[17]

საია მიესალმება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ გენდერულ კვოტირებას აქვს გადამწყვეტი, გრძელვადიანი და მდგრადი პოზიტიური გავლენა ქალი კანდიდატებისა და არჩეული ქალების რიცხვის გასაზრდელად. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია გენდერული კვოტირების წილის 50%-მდე გაზრდაც.

---

[6] იქვე, II-14.
[7] იქვე, II-27.
[8] იქვე, II-38.
[9] იქვე, II-58.
[10] იქვე, III-2.
[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ირინე იმერლიშვილის და თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილებაზე, II-2.
[12] იქვე, II-3.
[13] იქვე, II-5,
[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილებაზე, „ა“.
[15] იქვე.
[16] იქვე, „ბ“.
[17] იქვე, „გ“.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საიას სარჩელი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა 2019 წლის 12 დეკემბრის დადგენილებას ნიკა მელიასთვის დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. სასამართლოს აზრით, კონსტიტუციის მოთხოვნაა, კანონშემოქმედებით საქმიანობაში მხოლოდ ისეთი პირები მონაწილეობდნენ, რომელთა ქცევაც შეუსაბამო არ იქნება დეპუტატის სტატუსთან, რათა პარლამენტს გამოუსწორებელი რეპუტაციული ზიანი არ მიადგეს და ეჭვქვეშ არ დადგეს მისი საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და მაკონტროლებელი ფუნქციების სანდოობა.[18] გადაწყვეტილების მიხედვით, საზოგადოებაში უნდა არსებობდეს აღქმა, რომ პარლამენტის მუშაობა და კანონშემოქმედებითი პროცესი თავისუფალია შიდა და გარე ჩარევების, პირადი ინტერესებისა და უკანონო ზემოქმედებისგან. ამ მიზნის მიღწევა კი შეუძლებელი იქნება, თუკი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი პირი კვლავ განაგრძობს საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობას.[19] ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა დაუკავშირდება გასაჩივრების უფლების ამოწურვას, შეუძლებელი იქნება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღსრულება მაშინაც კი, თუ პარლამენტის წევრს სასჯელის სახით შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა.[20] „ამგვარი გადაწყვეტა საფრთხეს შეუქმნის არა მხოლოდ პარლამენტის სანდოობასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას, არამედ მართლმსაჯულების განხორციელების უმნიშვნელოვანეს ინტერესსაც.“[21] ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნიკა მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ დადგენილება არ ეწინააღმდეგებოდა უზენაესი კანონის მოთხოვნებს.

საქმეს თან ახლავს მოსამართლეების, თეიმურაზ ტუღუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძისა და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი,[22] რომლის მიხედვით, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ტერმინები - „განაჩენი“ და „კანონიერ ძალაში შესული განაჩენი“.[23] კონსტიტუციის მიზნებისთვის, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის თავისთავად კანონიერ ძალაში შესულად მიჩნევა კონსტიტუციის სისტემურ განმარტებასთან დაკავშირებული უხეში შეცდომაა.[24] პირის დამნაშავეობის შესახებ განსხვავებული ხარისხის ეჭვის არსებობა სხვადასხვა ღონისძიების გამოყენების ლეგიტიმაციას ქმნის.[25] ამიტომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ეტაპზე „კონსტიტუცია უშვებს დამატებითი რეპრესიული ღონისძიებების გამოყენებას, თუმცა არა იმ ღონისძიებების, რომლებიც ექსკლუზიურად დამნაშავის მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული. ამ შემთხვევაში კონსტიტუცია ითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეცდომების დაშვების ალბათობას, რომლებიც შეიძლება გასწორდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.“[26] განსხვავებული აზრის მიხედვით, პარლამენტის წევრს განსაკუთრებული სტატუსი, მაღალი ლეგიტიმაცია აქვს. ამიტომ, „ამგვარი ლეგიტიმაციის მქონე პირის საქმიანობის განხორციელებაში ჩარევა ყოველთვის უნდა მოხდეს ზედმიწევნით ფრთხილი მიდგომითა და კონსტიტუციის მოთხოვნათა სრული დაცვით.”[27] „უდანა-

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-30.
[19] იქვე, II-32.
[20] იქვე, II-19.
[21] იქვე, II-34.
[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თეიმურაზ ტუღუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.
[23] იქვე, 12-13.
[24] იქვე.
[25] იქვე, 14.
[26] იქვე, 15.
[27] იქვე, 25.

შაულოდ ცნობილი პირისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების შეუქცევადად დარღვევა უფრო მეტად აზიანებს საქართველოს პარლამენტის ინსტიტუციურ რეპუტაციას და ამცირებს მისდამი საზოგადოების სანდოობას."[28] მოსამართლეებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს მართლმსაჯულების აღსრულებასა და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას შორის კავშირის არარსებობაზე.[29]

საია იზიარებს განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების პოზიციას და მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩეული გზა პარლამენტის წევრის მანდატის დაცვის დაბალ სტანდარტს აწესებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება

2020 წლის 22 სექტემბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა გამოსცა ბრძანება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფის, ასევე, სამართალდარღვევათა პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით.[30]

ბრძანების თანახმად, საქართველოს რეგიონებში, პოლიციის დეპარტამენტების სამოქმედო ტერიტორიებზე შეიქმნება პასუხისმგებელი ჯგუფები სამართალდარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის.[31] არჩევნების უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არჩევნების დღის ჩათვლით, ხსენებულ ჯგუფებს დაევალათ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე სათანადო ზომებისა და პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების განხორციელება.[32] ბრძანება პოლიციელებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის მკაცრად დაცვას ავალდებულებს.[33] **საია პოზიტიურად აფასებს შს მინისტრის გადაწყვეტილებას და იმედოვნებს, რომ მისი ბრძანება ეფექტიანად და მიუკერძოებლად აღსრულდება.**

სახალხო დამცველის განცხადება წინასაარჩევნო გარემოს შესახებ

სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია გამოეხმაურა წინასაარჩევნოდ ძალისმიერი ანგარიშსწორების, პირადი ცხოვრების მასალების გამოყენებით პირების დაშინებისა და შანტაჟის ფაქტებს და განაცხადა, რომ სახალხო დამცველი დააკვირდება მათი გამოძიების პროცესს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის უწყებებს მიმართავს.[34] მისი თქმით, წინა წლების პრაქტიკა აჩვენებს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა არავის დაჰკისრებია.[35]

შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა სახალხო დამცველის განცხადებას და განმარტა, რომ გასულ წლებში, წინასაარჩევნო პერიოდში, უწყება მყისიერ სამართლებრივ რეაგირებას ახდენდა კომპეტენციას მიკუთვნებულ თითოეულ ინციდენტზე.[36] შსს-ს განცხადებით, ის კვლავაც მზადაა,

---

[28] იქვე, 30.
[29] იქვე, 31-34.
[30] „შინაგან საქმეთა მინისტრმა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ბრძანება გამოსცა", შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 22.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lQq7le, განახლებულია: 15.10.2020.
[31] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის №1/359 ბრძანების 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი.
[32] იქვე, მე-2 მუხლი.
[33] იქვე, მე-6 მუხლი.
[34] „ნინო ლომჯარია წინასაარჩევნო ძალადობის შემთხვევებზე", საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 24.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k0qcIH, განახლებულია: 15.10.2020.
[35] იქვე.
[36] „შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება", შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 24.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/344etn3, განახლებულია: 15.10.2020.

უზრუნველყოს არჩევნების უსაფრთხო, თავისუფალ გარემოში ჩატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამ მიმართულებით ყველა დაინტერესებულ მხარესთან ითანამშრომლებს.[37]

სახალხო დამცველს გამოეპასუხა ქართული ოცნების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე, რომელმაც აღნიშნა: „ოპოზიციას მივეცით ომბუდსმენი და ეს ოპოზიციონერი ომბუდსმენი ახლა აკეთებს ამ განცხადებებს და მართლა სირცხვილია“.[38]

საია მოუწოდებს მმართველი პარტიას, სერიოზულად აღიქვას სახალხო დამცველის განცხადება და საქმიანად მიუდგეს მას; სამართალდამცავმა უწყებებმა ყველა შემთხვევა სრულად გამოიძიონ, ხოლო პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართონ.

ცესკოს დადგენილება კენჭისყრის დღეს დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური წესების შესახებ

2020 წლის 18 სექტემბერს ცესკომ მიიღო დადგენილება, რითაც განსაზღვრა, COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის არჩევნების კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი.[39] კენჭისყრის დღისთვის საარჩევნო ღონისძიებები და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები არჩევნების პროცესში ჩართული მხარეების კონსულტაციების საფუძველზე შემუშავდა.[40]

კენჭისყრის შენობაში თერმოსკრინინგს უზრუნველყოფს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილი პირი.[41] შენობაში შესვლამდე თერმოსკრინინგს გაივლიან როგორც კომისიის წევრები, ისე უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირები,[42] თუმცა არა - ამომრჩეველი.[43] ეს უკანასკნელი ვალდებულია, დაიცვას პირბადის ტარების წესი,[44] წინააღმდეგ შემთხვევაში დაექვემდებარება გაფრთხილებას,[45] ხოლო მისი უგულებელყოფისას შენობიდან გააძევებენ.[46] პირბადის გამოყენება არ მოეთხოვებათ მათ, ვისაც ჯანმრთელობის გამო უჭირთ მისი ტარება და ეს დასტურდება შესაბამისი სამედიცინო/ექიმის ცნობით.[47]

კენჭისყრის შენობის შესასვლელთან განთავსდება დეზობარიერი, ხელის დეზინფექციისთვის საჭირო ხსნარი და ინფორმაცია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ.[48] ამომრჩეველს უბანზე მისვლისას ორჯერ, მცირე ხნით, იდენტიფიცირებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურების შესრულების მიზნით მოუწევს პირბადის მოხსნა, ხოლო უარის შემთხვევაში, მასზე საარჩევნო ბიულეტენი არ გაიცემა.[49]

ამ საკითხთან დაკავშირებით საიამ შეისწავლა საუკეთესო პრაქტიკა, საერთაშორისო ორგანიზაციების მითითებები და ცესკოს საკუთარი მოსაზრებები წარუდგინა. ძირითადი რეკომენდაციები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

---

[37] იქვე.

[38] „კობახიძე ლომჯარიაზე: ოპოზიციონერი ომბუდსმენი აკეთებს სამარცხვინო განცხადებებს“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „ფორმულა“, 26.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/343FS8k, განახლებულია: 15.10.2020.

[39] „ცესკომ პარტიებთან და სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან ერთად კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი შეიმუშავა“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 18.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SYaLES, განახლებულია: 15.10.2020.

[40] იქვე.

[41] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 18 სექტემბრის №38/2020 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი.

[42] იქვე, მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[43] იქვე, მე-2 მუხლის მე-6 ნაწილი.

[44] იქვე, მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი.

[45] იქვე.

[46] იქვე.

[47] იქვე, მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი.

[48] იქვე, 1-ლი მუხლის „ა“, „ბ“, „გ“.

[49] იქვე მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“.

- **განისაზღვროს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული წევრის ჩანაცვლების წესი მისთვის ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში;**
- **დადგინდეს სოციალური დისტანციის დაცვის სავალდებულოობა;**
- **ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა არა კენჭისყრის დღეს, არამედ გონივრული ვადით ადრე წარედგინოს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას;**
- **რეკომენდაციების შესაბამისად, სასურველია, განთავსდეს გამჭვირვალე პლასტმასის (ე.წ. პლექსიგლასის) ფარები.**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხარდაჭერით შემუშავებული შეთანხმებები

ა. პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი

საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით და პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით, ცესკოს ფასილიტაციის შედეგად, შემუშავდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ქცევის კოდექსი.[50] დოკუმენტის მიზანია დემოკრატიული ღირებულებებისა და ძირითადი თავისუფლების დაცვა, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პროცესის ხელშეწყობა.[51] დოკუმენტი ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ საარჩევნო პრინციპებს და მოიცავს სამართლიანი კონკურენციის შესახებ ნორმებს, ამომრჩეველთა და მონაწილე პარტიათა უფლებების აღიარებას და პატივისცემას, კოდექსის შესრულებაზე მონიტორინგისა და შიდაპარტიული აღსრულების მექანიზმებზე შეთანხმებას.[52] დოკუმენტს შეუერთდა 40 პოლიტიკური პარტია.[53]

აშშ-ის ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა პოზიტიურად შეაფასა ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობა და დოკუმენტი:[54] „ჩემი აზრით, ის (დოკუმენტი) ასახავს გარკვეულ ძირეულ პრინციპებს, რომლებიც ხელს შეუწყობს თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას. შესაბამისად, პარტიებს ვურჩევ, „ქცევის კოდექსს" ხელი მოაწერონ".[55]

ბ. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციაზე

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ევროპის საბჭოს ოფისს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და საჯარო სამსახურის ბიუროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.[56] მემორანდუმის მიზანია, 2020 წლის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების, ასევე, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისა და მასში მონაწილეობის წესების დარღვევის პრევენციისთვის, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პი-

[50] „განცხადება 2020 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის შესახებ", ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 12.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SUMxeX, განახლებულია: 15.10.2020.

[51] „პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის", ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/315eCV1, განახლებულია: 15.10.2020.

[52] იქვე.

[53] იქვე.

[54] „კელი დეგნანი „ქცევის კოდექსზე" - ეს ძალიან კარგი ინიციატივაა და ცენტრალური საარჩევნო კომისია შექებას იმსახურებს", საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 14.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/341RIA6, განახლებულია: 15.10.2020.

[55] იქვე.

[56] „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი", ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 26.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33Zu2w9, განახლებულია: 15.10.2020.

რთა ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა.[57] მემორანდუმი ითვალისწინებს ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენციის მიზნით შექმნილი დისტანციური სასწავლო კურსის განხორციელების ხელშეწყობას, რომელიც განკუთვნილია საჯარო მოსამსახურეებისთვის.[58]

გ. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ქცევის კოდექსი

ცესკომ და ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ქცევის კოდექსი,[59] რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მათ შორის პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ შეთანხმებას გულისხმობს.[60] დოკუმენტს ხელი ცესკოს თავმჯდომარემ და 30 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მოაწერა.[61]

ქცევის კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპებია პოლიტიკური ნეიტრალობა და მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, თავისუფალი, სამართლიანი და პანდემიის პირობებში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა.[62] ხელმომწერები თანხმდებიან, რომ იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით, არჩევნების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და ქცევის (ეთიკის) კოდექსით; ხელს შეუწყობენ არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გზით, დაიცავენ კანონის უზენაესობის პრინციპს; საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებენ უფლების აღდგენის და დაცვის მხოლოდ სამართლებრივ საშუალებებს; საარჩევნო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, იქნებიან მიუკერძოებელნი და თავიანთ მოვალეობებს გამჭვირვალედ და ობიექტურად შეასრულებენ.[63]

საია მიესალმება დემოკრატიული ღირებულებების დაცვის, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პროცესის ხელშეწყობის მიზნით ქცევის (ეთიკის) კოდექსების შემუშავებასა და მემორანდუმის გაფორმებას და იმედოვნებს, რომ ჩართული მხარეები პირნათლად შეასრულებენ ამ დოკუმენტებით გათვალისწინებულ რეკომენდაციებს.

---

[57] იქვე.
[58] იქვე.
[59] „ცესკომ და ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა ქცევის კოდექსს მოაწერეს ხელი", ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 28.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k2CvUH, განახლებულია: 15.10.2020.
[60] იქვე.
[61] იქვე.
[62] „2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციათა ქცევის (ეთიკის) კოდექსი", ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kd4iSo, განახლებულია: 15.10.2020.
[63] იქვე.